სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ამერიკისმცოდნეობა/American Studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრი/ Bachelor of American Studies
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი) პროგრამაში კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: 120 ECTS კრედიტი - ძირითადი სპეციალობა აქედან სპეციალობის ძირითადი კურსებისათვის განკუთვნილია 85 ECTS კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსებისათვის- 25 ECTS კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომისათვის -10 ECTS კრედიტი 50 ECTS კრედიტი - საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები; 60 ECTS კრედიტი - დამატებითი სპეციალობა; 10 ECTS კრედიტი - ე.წ. თავისუფალი კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ხელმძღვანელები: პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი, ასოც. პროფესორი მიხეილ ბარნოვი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	წინამდებარე პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულოა უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება); უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გულისხმობს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად მათ მიერ ქართული ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარებას.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, სტუდენტზე

	ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. ამერიკისმცოდნეობა პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი დარგია. პროგრამა რეგიონმცოდნეობითია და წარმოადგენს სპეციფიკურ, დარგთაშორის სფეროს, რომელშიც მრავალი დისციპლინაა (სოციალური, ჰუმანიტარული, პოლიტიკური მეცნიერებები, ეკონომიკა, სამართალი) გაერთიანებული. იგი მიზნად ისახავს სფეროს ამ დისციპლინებს შორის კავშირების შესწავლას მრავალი პერსპექტივიდან და მრავალ კონტექსტში. ამიტომ წარმოდგენილი პროგრამა თავისი არსით ინტერ და მულტიდისციპლინურია. ეს სპეციფიკა ასახულია პროგრამის კურიკულუმშიც, რომელიც კონცენტრირდება შემდეგ ძირითად მიმართულებებზე 1. **საზოგადოება და კულტურა** (ისტორია, კულტურა, ლიტერატურა, თვითმყოფადობა, სოციალური სისტემები, ეკონომიკა, ფილოსოფია,); 2. **პოლიტიკა** (დიპლომატია, ამერიკულ-ქართული ურთიერთობები, სამართალი); ამავდროულად, პროგრამა ითვალისწინებს არა მარტო შეერთებული შტატების, არამედ ლათინური ამერიკის შესწავლასაც. უფრო კონკრეტულად პროგრამის მიზნებია: **1.** სტუდენტს შესძინოს ფართო და ზოგადი ცოდნა ამერიკისმცოდნეობის დარგში ერთი მხრივ ამერიკული საზოგადოების შესწავლის მიმართულებით, რომელიც მოიცავს ამერიკის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების, სოციალური სისტემების, ეკონომიკის, ამერიკული თვითმყოფადობის, ფილოსოფიის ზოგად შესწავლას, და მეორე მხრივ, ამერიკული პოლიტიკის, სამართლისა და დიპლომატიის მიმართულებით, რომელიც ასევე მოიცავს ამერიკულ-ქართული ურთიერთობებისა და ამერიკული მასმედიის შესწავლას. **2.** სტუდენტს შესძინოს ამერიკული იდეების/კონცეფციების, ინტეგრაციის, ინსტიტუტების, იდენტობის, აზროვნებისა და ღირებულებების, ეკონომიკის, ფილოსოფიის, დიპლომატიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის გარკვევის, გაგებისა და გაშუქებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ამ სფეროებში ძირითადი პრობლემების დასმის, განხილვის, ანალიზის, დასკვნების გამოტანისა და გადაწყვეტის უნარები, რაც დაეხმარება იმ ზედაპირული და ხშირად უარყოფითი სტერეოტიპების დარღვევაში, რომლებიც მასიურ ცნობიერებაშია ჩამოყალიბებული და არგუმენტირებული მსჯელობის, პრობლემის გააზრებისა და ინტერპრეტაციის

	საფუძველზე შეძლებს საკუთარი პოზიციის დასაბუთებას, დისკუსიას, შეკითხვების დასმას, პასუხის გაცემის და სხვ. **3.** სტუდენტი დაეუფლოს დარგობრივ და პროფესიულ ინგლისურ ენას და მიაღწიოს ენის ცოდნის B2 საფეხურს, რაც მას დაეხმარება განახორციელოს ზეპირი და წერითი კომუნიკაცია შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით ინგლისურ ენაზე პროფესიულ გარემოში. **4.** აღზარდოს პასუხისმგებლიანი და კეთილსინდისიერი კურსდამთავრებული, რომელიც განუხრელად იცავს პროფესიულ ეთიკას საქმიან ურთიერთობებში, არის ტოლერანტული, აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; გამოხატავს მუდმივ მზაობას კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის. აქვს ინტერდისციპლინურ გარემოში როგორც ინდივიდუალურად ის ჯგუფურად მუშაობის უნარები. დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარი სწავლის საჭიროებს. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოს ჰუმანიტარულ, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვ. მეცნიერებათა სინთეზის საფუძველზე თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული რეგიონმცოდნეობითი განათლების მიღების შესაძლებლობას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.
სწავლის შედეგები	ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო კომპონენტები და რესურსები უზრუნველყოფს შემდეგი შედეგების მიღწევას. პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	1. განსაზღვრავს ამერიკისმცოდნეობის დარგს, როგორც კომპლექსური - მულტი და ინტერდისციპლინური - განათლებისა და მეცნიერების დარგს, განიხილავს ამერიკისმცოდნეობის როგორც დისციპლინის რაობას, მის ძირითად მიმართულებებს: 1) საზოგადოება და კულტურა (ისტორია, კულტურა, თვითმყოფადობა, მასმედია, სოციალური სისტემები, ეკონომიკა, ფილოსოფია) და 2) პოლიტიკა (დიპლომატია, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, სამართალი). ამერიკისმცოდნეობასთან დაკავშირებულ კონტექტში განსაზღვრავს და აღწერს ისეთ ცნებებს, როგორიცაა თვითმყოფადობა, წარმომადგენლობითი მმართველობა,

	რეგიონალიზმი, თვითმმართველობა, რასიზმი, ქალთა უფლებები, იმიგრაცია, ურბანიზაცია, სამოქალაქო საზოგადოება და სხვ.; 2. აღწერს და განმარტავს აშშ-სა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის ძირითად საკითხებს; კოლუმბამდელი ამერიკული ცივილიზაციების თავისებურებებსა და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმოქმნისა და განვითარების ეტაპებს; აღწერს ამერიკულ ხასიათსა და თვითმყოფადობას; მიმოიხილავს ამერიკული საზოგადოების განვითარებასა და ამერიკულ სოციალურ ინსტიტუტებს, განიხილავს ამერიკელთა წვლილს მსოფლიოს განვითარებასა და კულტურულ მემკვიდრეობაში; 3. აიდენტიფიცირებს და აღწერს ამერიკული ფილოსოფიის საფუძვლებსა და მის ძირითად სკოლებს, მიმდინარეობებსა და ამერიკელ ფილოსოფოსთა ნააზრევს; აჯამებს მათ წვლილს მსოფლიო ფილოსოფიური აზრის ისტორიაში; პოულობს და ხსნის პრაგმატიზმს ამერიკული ცხოვრების წესში, პოლიტიკაში, განათლების კონცეფციაში, რელიგიურ მრავალფეროვნებაში, მხატვრულ აზროვნებაში. 4. აღწერს კოლონიზაციის პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ჩათვლით აშშ–ის ლიტერატურის ძირითად ტენდენციებს, წამყვან ავტორებს, ენის საბაზისო გამომსახველობით საშუალებებსა და სტილისტურ ხერხებს; ადეკვატურად განიხილავს მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებით ინფორმაციას. 5. აღწერს და განიხილავს აშშ–ის სამართლის წყაროებსა და საფუძვლებს, სამართლებრივი კულტურის თავისებურებებს; აშშ-ის სამართლის აქტუალურ პრობლემებს; აკავშირებს ამერიკულ რეალობაში რასობრივი პრობლემების, პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთმიმართებებს; 6. აღწერს და მიმოიხილავს აშშ–ის ეკონომიკისა და პოლიტიკის საფუძვლებს; ამერიკის ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს, თანამედროვე ამერიკაში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს; რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას; ამერიკულ პოლიტიკურ აზრსა და მმართველობის სისტემას; დემოკრატიის პრინციპებისა და თანამედროვე ამერიკული დიპლომატიის საფუძვლებს; აღწერს უახლესი პერიოდის ამერიკა-საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს; ამერიკაში ქართული დიასპორის ისტორიას; აცნობიერებს ამერიკული ფაქტორის მნიშვნელობას ქართულ-ამერიკულ

	ურთიერთობებში; განიხილავს აშშ-ს ინტეგრაციის იდეებსა და კონცეფციებს;
უნარები	7. აანალიზებს აშშ-სა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლის, სოციალური ინსტიტუტების, განათლების და კულტურის ძირითად გამოწვევებს, მათი გადაჭრის გზებს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს; განიხილავს ამ ქვეყნების ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებს; ამერიკული ლიტერატურის ნიმუშების ორიგინალში კითხვის საფუძველზე განასხვავებს და აანალიზებს ტექსტის ენობრივ და მხატვრულ თავისებურებებს; აანალიზებს ამერიკელთა წვლილს მსოფლიო ისტორიასა და კულტურაში. აანალიზებს და ასაბუთებს ამერიკული იდენტობის, ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს; აანალიზებს ამერიკული დემოკრატიის თავისებურებებს, გამოყოფს მის მიღწევებსა და გამოწვევებს. უკავშირებს ამერიკულ სამართლებრივ დოკუმენტებს ისტორიის კონკრეტულ პერიოდებსა და მოვლენებს; აფასებს ამერიკა-საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს და მათ შედეგს საქართველოსთვის; აანალიზებს შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინებს, ადარებს მათ და უკავშირებს ადმინისტრაციების კონკრეტულ საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებს, მათ შორის, საქართველოში; 8. კრიტიკულად აანალიზებს დარგობრივ ლიტერატურას; მოიპოვებს სხვადასხვა სახის წყაროს, მათ ამუშავებს, ადარებს, ახარისხებს, ხსნის და განმარტავს. იყენებს რეგიონმცოდნეობით მეთოდოლოგიებს. არგუმენტირების, მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის, აბსტრაგირების საფუძველზე გამოხატვას, იცავს საკუთარ პოზიციას და აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს. 9. წერილობით და ზეპირ დარგობრივ და პროფესიულ კომუნიკაციაში თავისუფლად იყენებს B2 დონის შესაბამის ინგლისურ ენას. (ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით)
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	10. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ავლენს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, განსხვავებული კონფესიების,

	კულტურებისა და აზრის ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარს. ტოლერანტულია; ერკვევა ღირებულებით ორიენტაციებში, ხელს უწყობს ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატული ღირებულებების, სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას; 11. აცნობიერებს პროფესიული ცოდნის მუდმივი განახლების მნიშვნელობას, ავლენს დამოუკიდებლად სწავლა-კვლევის, თვითორგანიზებისა და ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად, სტრესულ), მათ შორის, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროის ეფექტურად მართვისა და შრომის მაღალ დონეზე ორგანიზების საბაზისო უნარებს. აფასებს დარგის სწავლებას, საკუთარ საჭიროებებს, ამოცანებსა და პერსპექტივებს;
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესსეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა – განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.).
შეფასების სისტემა	სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

	(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს საბაკალავრო ნაშრომს. შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად: ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით; ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება; ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით. ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე; ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით; საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
დასაქმების სფეროები	ამერიკისმცოდნეობის სპეციალობის მქონე ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს შემდეგ სფეროებში: • ამერიკულ-ქართული კომპანიები, • კულტურული და საზოგადოებრივი ფონდები • არასამთავრობო ორგანიზაციები, • ანალიტიკური ცენტრები

	• ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები, • ბიბლიოთეკები, • გამომცემლობები, • მასმედია, • ტურისტული ცენტრები, • მუზეუმები და გალერეები.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისა თვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევრები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება საქართველოსა და აშშ-ის უნივერსიტეტებში. სასპეციალიზაციო კურსებს უძღვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტისა და მომიჯნავე მიმართულებების ძირითადი აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები, მათ შორის: 1. ელენე მემმარიაშვილი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი; 2. მიხეილ ბარნოვი, ასოცირებული პროფესორი, პროგრამის კოორდინატორი; 3. ანასტასია ზაქარიაძე, ასოცირებული პროფესორი (ფილოსოფიის ინსტიტუტი); 4. გიორგი ამირანაშვილი, სამართლის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი (იურისტი); 5. მარიამ ხატიაშვილი, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი (ამერიკისმცოდნე); 6. სოფიკო გელიაშვილი, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი (ამერიკისმცოდნე, ფილოლოგი); 7. ქეთევან როსტიაშვილი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

	მოწვეული პროფესორი (პოლიტოლოგი); 8. რუსუდან დაუშვილი, მოწვეული პროფესორი (ისტორიკოსი); 9. ნიკოლოზ მახარაშვილი, პროფესორი, მოწვეული ლექტორი (PR, მენეჯერი); 10. გიორგი ანთელავა, ისტ. მეცნ. დოქტორი, მოწვეული პედაგოგი. ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკებით და კომპიუტერული რესურსცენტერებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზებზე. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და კომპიუტერული ცენტრები; თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ამერიკული ბიბლიოთეკა (ი. ჭავჭავაძის გამზირი N3-ში, თსუ II კორპუსი, ოთახი 152, https://www.tsu.ge/ka/library; თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი, https://e-learning.tsu.ge/; თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა

	და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ამერიკისმცონეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი პროფესიული პრაქტიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რუზველტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტს (ნიდერლანდები) შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი; 2002 წლიდან ინსტიტუტთან დამმობილებულია სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) ამერიკისმცოდნეობის პროგრამა, რომლის ხელმძღვანელი სამეცნიერო სტატიების საერთო კრებულის „ამერიკის შესწავლის საკითხები“ თანარედაქტორია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნე სტუდენტები და პროფესურა აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ამერიკულ თუ ევროპულ გაცვლით პროგრამებში და იძენენ ახალ გამოცდილებასა და ცოდნას საუკეთესო უნივერსიტეტებში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი სისტემატურად მასპინძლობს ამერიკისა და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნე პროფესორებს, რომლებიც მოკლე სალექციო კურსებს, საჯარო ლექციებსა და კონსულტაციებს სთავაზობენ ინსტიტუტის სამივე საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამების, მათ შორის, ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს. თსუ ამერიკისმცოდნეობის პროგრამების სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო სასწავლო სტიპენდიების, გაცვლითი საკონკურსო პროგრამების შესახებ და ეძლევათ რეკომენდაცია, მონაწილეობა მიიღონ ამგვარ კონკურსებში (ამერიკისმცოდნე სტუდენტებს საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში სწავლის გამოცდილება აქვთ ვენეციის (იტალია), ჰაიდელბერგის (გერმანია) და სხვ. უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნეობის პროგრამებზე).